საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №317
2018 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 21 ივნისის №307 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 21 ივნისის №307 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 21.06.2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010220020220270168 07) პირველი მუხლის:

ა) „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;

ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე“;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 16 ივლისიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**